კონკურსის მეშვეობით ქ. თბილისში, ვ. გოძიაშვილის სახელობის პარკის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი #2

ქ. თბილისი 14.07.2014წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

პაპუნა პეტრიაშვილი – საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე – ქ. თბილისის მერის მოადგილე;
გიორგი ქორქაშვილი – სატენდერო კომისიის წევრი – ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი;
გიორგი ვაჩეიშვილი – სატენდერო კომისიის წევრი – ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
გივი რუხაძე – სატენდერო კომისიის წევრი – ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის შემოსასვლელების, სანაპიროების, პარკების, ექსპლუატაციის, აღდგენისა და მოწყობის განყოფილების უფროსი;

დღის წესრიგი:

კონკურსის მეშვეობით ქ. თბილისში, ვ. გოძიაშვილის სახელობის პარკის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე 2014 წლის 14 მაისს გამოცხადებული (საკონკურსო განცხადების #1241) კონკურსის შედეგების განხილვა.

მოისმინეს:

კომისიის წევრის გიორგი ქორქაშვილის გამოსვლა, რომელმაც სხდომის წევრებს მოახსენა, რომ საკონკურსო წინადადების მიღების დასრულებამდე 2014 წლის 03 ივნისს 12:00 საათამდე 3 (სამი) კონკურსანტის მიერ იქნა წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება: **1.შპს „ეს ჯი არქიტექტურა", 2.შპს „დიზაინ გრუპი"; 3. შპს „არქიტექტურული ბიურო".**

განიხილეს:

საკონკურსო კომისიის წევრებმა განიხილეს კონკურსანტების მიერ შემოთავაზებული საკონკურსო წინადადება და მოწვეული ექსპერტ-კონსულტანტების, ქ. თბილისის მერიის არქიტექტურული სამსახურის განყოფილების უფროსი გურამ თავაძისა და ს.ტ.უ.-ს არქიტექტურის ფაკულტეტის სრული პროფესორის გიული გეგელიას, მოსაზრებები პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილ არქიტექტურულ კონცეფციებსა და ესკიზების შესახებ.

განხილვის შედეგად დადგინდა, რომ სამივე პრეტენდენტის წინადადება შეესაბამება საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და კომისიის გადაწყვეტილებით დაშვებულ იქნენ შეფასებაზე, სადაც კონკურსანტების წინადადებები შეფასდა 10 ქულიანი სისტემით (შეფასების ცხრილები თან ერთვის ოქმს).

კომისიამ დაადგინა:

1. შეფასების მონაცემთა საფუძველზე, თბილისში, ვ. გოძიაშვილის სახელობის პარკის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა - **შპს „არქიტექტურული ბიურო“.**
2. არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში გაფორმდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება და საკონკურსო დოკუმენტაციის შესაბამისად დაევალოს გამარჯვებულ კონკურსანტს ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 დღის ვადაში უზრუნველყოს სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენა.
3. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს შპს „არქიტექტურული ბიურო“-ს, შპს „ეს ჯი არქიტექტურა"-ს, შპს „დიზაინ გრუპი"-ს.

კომისიის თავმჯდომარე	**/პაპუნა პეტრიაშვილი/**
კომისიის წევრი	**/გიორგი ქორქაშვილი/**
კომისიის წევრი	**/გიორგი ვაჩეიშვილი/**
კომისიის წევრი	**/გივი რუხაძე /**